

**AD Hoc (უსადენო) ქსელში ორ ნახტომიანი
პაკეტების გადაცემის სამი RD მოდელი**

ირმა ასლანიშვილი

irma.aslanishvili@tsu.ge

თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კომპიუტერული მიმართულების დეპარტამენტი

ანოტაცია: ჩვენ განვიხილავთ მობილურ საკომუნიკაციო ქსელებს, Ad Hoc უსადენო ქსელს, რომელიც წარმოადგენს რთულ უსადენო განაწილებულ სისტემას, რომელიც შედგება მობილური ან სტატიკური კვანძებისგან. ასეთ ქსელს თავისუფალი და დინამიური თვით ორგანიზების უნარი აქვს.

განხილულია სამი RD მოდელი. ორ ნახტომიანი ანუ ორ რეტრანსლატორიანი მექანიზმით მოძრაობა წრეზე, რომელიც იმ შემთხვევაში მოქმედებს როდესაც არ არსებობს პირდაპირი გზა გამგზავნისა და მიმღებ კვანძს შორის.

პირველ მოდელი: პაკეტის გადაცემა ხდება მხოლოდ ერთხელ. ისე, რომ უკვე გადაცემული პაკეტის ასლს არ ინახავს გამგზავნი, ანუ გამგზავნი უგზავნის მიმღებს მხოლოდ იმ პაკეტებს, რომლებიც არ იყო მანამდე გაგზავნილი.

მეორე მოდელი: კვანძი იწყებს სიმეტრიულად მოძრაობას შემთხვევითი ხეტიალით RW წრეზე რომლის ბიჯიც არის $4R+2$.

მესამე მოდელი : მიმღები, გამგზავნი და მოძრავი კვანძი მოძრაობს სიმეტრიულად წრეზე.

საკვანძო სიტყვები: უსადენო ქსელები (AD Hoc), პაკეტები, MANETs პროტოკოლები, როუტერი, კვანძი, სასრული მეხსიერება.